ბრძანება

ქ. თბილისი

N 772-03
24.04.2024

,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტების დასაფინანსებლად საფაკულტეტო კვოტების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ " საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის N105472 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 17 აპრილის N440273 ბრძანების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის ირინა ბაზღაძის 2024 წლის 19 აპრილის N7094-35 სამსახურებრივი ბარათის, ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" რექტორის N2229-03 16/11/2023 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტების დასაფინანსებლად საფაკულტეტო კვოტები შემდეგნაირად:

ფაკულტეტი	რაოდენობა	%	884
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი	5178	41%	360
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	5509	43%	383
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი	501	4%	35
სამართლის სკოლა	1533	12%	106
Grand Total	**12721**	**100%**	**884**

2. რექტორის N2229-03 16/11/2023 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად სტიპენდიანტ სტუდენტთა შერჩევის მიზნით, უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას უფლება

აქვთ ფაკულტეტის/სკოლის დეკანის ბრძანებით შექმნან კომისია საფაკულტეტო დონეზე. კომისია განუსაზღვრავს შესაბამისი ქულების მქონე სტუდენტებს კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესახებ წარმოსადგენი დოკუმენტაციისთვის გონივრულ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტები აღარ განიხილება სტიპენდიის გაცემის მიზნებისთვის.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს, ირინა ბაზღაძეს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი